



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სამართლებრივი
რეაბილიტაციის მექანიზმები საქართველოში და მათი შეფასება



სტრუქტურა:

შესავალი	3
სიტუაციური ანალიზი	3
- პროცედურული რეგულირება.....	4
- ფულადი კომპენსაცია და დარღვეული ქონებრივი უფლებების აღდგენა.....	5
- საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათები	6
- სოციალური დახმარება	8
დასკვნა	10
რეკომენდაციები	11

აპრილი, 2020



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შესავალი

თანამედროვე საზოგადოება სრულად აღიარებს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების პრაქტიკის არსებობას ყოფილ საბჭოთა კავშირში. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, სახელმწიფოებმა საკუთარ თავზე აიღეს მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენისა და მათი სამართლებრივი რეაბილიტაციის ვალდებულება. აღნიშნულ ქვეყნებს შორის არის საქართველოც.

პოლიტიკური რეპრესიების და კომუნიზმის მსხვერპლთა უფლებები, განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში მაღალ დონეზეა დაცული. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოფილი საბჭოთა კავშირის, ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითები, სადაც აღდგენილია ჩამორთმეული ქონებრივი უფლებები და რეაბილიტირებულები სარგებლობენ მნიშვნელოვანი სოციალური დახმარებით. დამოუკიდებლობის პერიოდში, ესტონეთმა სულ მოახდინა 6.000 ბინის და 1.7 მილიონი ჰექტარი მიწის ფართობის რესტიტუცია, ლატვიამ - 10.000 ბინის. ლიეტუვაში ფართოა კომუნიზმის მსხვერპლთა სია და რეპრესირებულებთან ერთად, მასში შედიან 1944-1945 წლებში მეორე მსოფლიო ომისთვის მობილიზებულები, პარტიზანები, ავღანეთის ომის მონაწილეები და სხვა პირები.¹

საქართველოს მოქალაქეებმა ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე მასობრივი რეპრესიები 1921 წლის თებერვლიდან - 1990 წლის 28 ოქტომბრამდე განიცადეს. სხვადასხვა წყაროების თანახმად, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რაოდენობა სსრკ-ის ტერიტორიაზე 6-დან 20 მილიონამდე მერყეობდა².

სხვა ქვეყნების მსგავსად, რეპრესირებულთა სამართლებრივი რეაბილიტაციის მიზნით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა საქართველოშიც. მოცემული სტატიის მიზანს წარმოადგენს საქართველოში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სამართლებრივი რეაბილიტაციის მიმართულებით არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა, არსებული პრობლემების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის.

სიტუაციური ანალიზი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულება. ე.ი. სახელმწიფო ვალდებულია საკუთარი ქმედებით არ დაარღვიოს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (ნეგატიური ვალდებულება), ხოლო სხვათა მიერ აღნიშნული დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ეფექტური ზომები დარღვეულ

¹ Pettai Vello, Overcoming occupation in the Baltic states: how much truth and justice has there been since 1989?, Address at the conference “25 Years after the Baltic Way and the Collapse of Totalitarian Communism: European Memory and Political Inspiration”, Riga, 2014.

² Snyder, Timothy (2010). Bloodlands: Europe between Hitler and Stalin. New York.; Pipes, Richard (2001). Communism: A History. USA.

უფლებათა აღდგენის მიზნით (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, კომპენსაცია, დამრღვევთა მიმართ შესაბამისი საკანონმდებლო სანქციების გამოყენება ა.შ.). სწორედ სახელმწიფოსადმი დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკისრება ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიებზე განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების შედეგად დარღვეული უფლებების აღდგენა და ამ მიზნით, შესაბამისი ეფექტური ზომების მიღების ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული ღირებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემა, წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ ფუძემდებელ პრინციპს.

- პროცედურული რეგულირება

კანონმდებლობის თანახმად, ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლმა ან მისმა მემკვიდრემ, შესაბამისი სტატუსის მიღების მიზნით უნდა მიმართოს სასამართლოს, რის შემდეგაც მას ეძლევა სახელმწიფოს მიერ დაწესებული კომპენსაციისა და სოციალური დაცვის მიზნით დადგენილი შეღავათების მიღების უფლება.

აღნიშნული პროცედურები და შეღავათები ძირითადად რეგულირდება საქართველოს საპროცესო ადმინისტრაციული კოდექსითა და „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონით, ისევე როგორც მთავრობის დადგენილებით “სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ”.³

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება ხდება სასამართლო წესით. განცხადებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონით მემკვიდრე, ან მათი წარმომადგენელი წარუდგენს იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მუდმივად ან დროებით ცხოვრობს რეპრესირებული პირი, ან მისი კანონით მემკვიდრე.

³ მთავრობის დადგენილება სოციალური პაკეტების განსაზღვრის შესახებ:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1707671?publication=0>.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, თავი VII:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=77&fbclid=IwAR3kw3Ivu8y8uigpXBjZz0k6mlixE564cMzUO1VCUNTPkqC3QNxddbn3CmM>.

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, თავი III:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31408?publication=11>.

- ფულადი კომპენსაცია და დარღვეული ქონებრივი უფლებების აღდგენა


საქართველოს საპროცესო ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის სტატუსის მიღების შემდეგ, რეპრესირებული პირი, მისი პირველი რიგის მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი უფლებამოსილი იყო, არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვრისა, ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი წარედგინა თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში რეპრესირებული პირის/მისი პირველი რიგის მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. **კანონის ჩანაწერიდან გამომდინარე, ცხადია, რომ პოლიტიკურ რეპრესიათა მსხვერპლებსა და მათ მემკვიდრეებს მოცემული დროისთვის ჩამორთმეული აქვთ სასამართლოსთვის მიმართვისა და საკუთარი დარღვეული უფლების აღდგენის საშუალება.**

ამ ეტაპზე გაურკვეველია, კვლავაც მიეცემათ თუ არა რეპრესირებულ პირებსა და მათ კანონიერ მემკვიდრეებს სასამართლოსთვის მიმართვისა და შესაბამისი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI), 2020 წლის მარტში შესაბამისი შეკითხვით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, თუმცა პასუხი შეკითხვებზე დღეის მდგომარეობით არ მიუღია.

იმ პირთა შემთხვევაში, რომლებმაც მოცემულ ვადამდე მიმართეს სასამართლოს გათვალისწინებული იყო კომპენსაცია 1.000-დან 2.000 ლარამდე ოდენობით. IDFI-ის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრამდე, თბილისის საქალაქო სასამართლოში რეპრესირებულად აღიარების თაობაზე შევიდა 13.525 განცხადება, რომელთაგან სასამართლომ წარმოებაში მიიღო 11.539, დააკმაყოფილა 11.511 და არ დააკმაყოფილა მხოლოდ 28. ქუთაისში, 5.517 მიღებული საქმიდან, დაკმაყოფილდა - 4.957. შესაბამისად, საქართველოში სულ რეპრესირების მსხვერპლად ცნობილი იქნა 16.468 პირი და მათ ან მათ კანონიერ მემკვიდრეებს მიეცათ კანონით გათვალისწინებული კომპენსაცია. IDFI-მ მოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზეც, თუ რომელი კატეგორიის რეპრესირებულმა რა ოდენობის კომპენსაცია მიიღო, თუმცა ვინაიდან აღნიშნული თანხების ანაზღაურება მოხდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, ორგანომ არ გასცა შესაბამისი ინფორმაცია.⁴

⁴ ლევან ავალიშვილი, „Rehabilitations of Victims of Political Repressions in Georgia“, სტატია ჟურნალისთვის CEVRO, 2018: <http://open-archives.org/en/newsblogs/interestingnews/29>.

რეპრესირებულად აღიარების შესახებ სასამართლოთა მიერ განხილული განცხადებები



„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი უნდა განსაზღვროს ცალკე კანონით. თუმცა, არსებული მდგომარეობით, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რეაბილიტირებული პირის ქონებრივ უფლებათა სრულად აღდგენის მექანიზმებს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსი ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებდა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებისთვის მისი კუთვნილი პირადი ქონების სრულად ჩამორთმევას.

- საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათები

2006 წლის პირველ იანვრამდე, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლი მოიცავდა ჩანაწერს საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათების შესახებ 50%-ის ოდენობით. აღნიშნული ვრცელდებოდა წყლის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, გაზის და თბოენერჯის, ისევე როგორც ტელეფონის სააბონენტო გადასახადებზე. რაც შეეხება ელექტროენერჯიას, კანონი ადგენდა მის უფასო მოხმარებას თვეში 30 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას – 45 კვტ სთ-ის ოდენობით. დამატებით, საცხოვრებელი ფართის ქირის შეღავათებით სარგებლობდნენ პირები, რომლებიც ცხოვრობდნენ სახელმწიფო ფონდის სახლებში.

აღნიშნული შედეგებით სარგებლობის უფლება ქონდათ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათ მემკვიდრეთა მხოლოდ შეზღუდულ კატეგორიებს. კერძოდ, პირებს, რომლებიც პოლიტიკური რეპრესიის შედეგად იმყოფებოდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სპეციალურ დასახლებაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, გადასახლებაში, გასახლებაში; ასევე რეპრესიის უშუალო მსხვერპლთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ შრომისუუნარო მეუღლეს, მშობლებსა და შვილებს.

კანონის მოცემული ჩანაწერი გაუქმდა „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ (2006 წლის პირველი იანვრიდან).⁵ მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს ოფიციალური ბეჭდვით ორგანოს, სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის ბოლო (კონსოლიდირებული) რედაქცია, ჯერ კიდევ მოიცავს ჩანაწერს ზემოაღნიშნული შედეგების შესახებ. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ცვლილება, რომელმაც გააუქმა საყოფაცხოვრებო-კომუნალური შედეგები, კანონის მოქმედ რედაქციაში ტექნიკურად არ არის ასახული.⁶ ეს კი ართულებს დაინტერესებული პირების მიერ რეალური განახლებული ინფორმაციის მიღებას რეპრესირებულთათვის განკუთვნილი შედეგების შესახებ.

ამჟამად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიათა გადანაწილების საკითხი დარეგულირებულია „სოციალური შედეგების მონეტიზაციის შესახებ“ მთავრობის დადგენილებით⁷. აღნიშნული დადგენილების თანახმად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებთა კატეგორიებს შორის არიან პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირები და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრები. აღნიშნული პირებისთვის გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო სუბსიდია ყოვლეთვიურად 7 ლარის ოდენობით.

⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 23.12.2005,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28048?publication=0&fbclid=IwAR1BMwCVd9sn0QS5QQyY0SDjjZ2d1bgSyEzcrRB9bFKYHorjefmgrRpRV0E>

⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ (კონსოლიდირებული ვერსია), 11.12.1997, მუხლი 12,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31408?publication=1>:

საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, 29.12.2006,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=13&fbclid=IwAR0PQcakDq9PyKqvX-gSrG4lUT8ObMUIGuSfLnnW2FEmuvaXpP7qlW_c0nA.

⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება „სოციალური შედეგების მონეტიზაციის შესახებ“, 11.01.2007, http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/5.pdf

- სოციალური დახმარება

რეპრესირებული პირებისა და მათი მემკვიდრეების სოციალური დახმარების საკითხები დარეგულირებულია „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირები, სოციალური დახმარების მიღების უფლებით სარგებლობენ პენსიის მიღების ძირითადი საფუძვლების წარმოშობის მიუხედავად.⁸ ამასთან, სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე მოცემული ინფორმაციის თანახმად, **თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონითა და „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება მისივე არჩევით.⁹**

„სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად, სსრკ-ის ტერიტორიაზე განხორციელებულ პოლიტიკურ რეპრესიებთან დაკავშირებით, სოციალური დახმარების მიღების უფლებით სარგებლობენ შემდეგი პირები:

- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები, რომლებიც ამავედროულად არიან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეები - ენიშნებათ სოციალური დახმარება 122 ლარის ოდენობით;
- სხვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები – ენიშნებათ სოციალური დახმარება 107 ლარის ოდენობით;

ამასთან დამატებით 7 ლარით გაუმჯობესებული სოციალური პაკეტი მიეცემათ რეპრესირებულთა შემდეგ კატეგორიებს:

- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული, **მკვეთრად გამოხატული** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში – მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელს, მეუღლეს ან შვილს 18 წელს ზემოთ (საერთო ჯამში 227 ლარი);
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული, **მნიშვნელოვნად გამოხატული** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში – მნიშვნელოვნად

⁸ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #46/ნ, 2006 წლის 10 თებერვალი ქ. თბილისი “სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების” დამტკიცების თაობაზე, http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=723.

⁹ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი, http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=93&info_id=715.

გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელს, მეუღლეს ან შვილს 18 წელს ზემოთ (საერთო ჯამში 147 ლარი);

- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილი პირის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვს (საერთო ჯამში 227 ლარი);
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილი პირის შვილებს 18 წლის ასაკამდე (საერთო ჯამში 107 ლარი);
- სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ, შრომისუუნარო მშობელს, შრომისუუნარო მეუღლეს, შრომისუუნარო შვილს.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის რამდენიმე პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში, მათზე გაიცემა ერთიანი ფულადი კომპენსაცია.

როგორც აღნიშნულ იქნა, თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონითა და „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს კანონით მინიჭებული მხოლოდ ერთი სარგებლის მოთხოვნის უფლება მისივე არჩევით.¹⁰ მოცემულ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო პენსია 220 ლარს წარმოადგენს.¹¹ ლოგიკურია, რომ საპენსიო ასაკის რეპრესირებული პირი, არჩევანს სახელმწიფო პენსიაზე გააკეთებს. რის გამოც, დღეის მდგომარეობით სოციალური პაკეტის მიმღები პირების რაოდენობა მინიმალურია და შეადგენს მთელი საქართველოს მასშტაბით სულ 138 ადამიანს.¹² განსხვავებული იყო მდგომარეობა წარსულში, მაგალითად „სახელმწიფო პენსიის“ შესახებ საქართველოს კანონის 2005 წლის რედაქციის თანახმად, რეპრესირებული პირებისთვის განკუთვნილი იყო პენსია 50 ლარის ოდენობით¹³, მაშინ როდესაც სპეციალური სტატუსის არმქონე პირებისთვის პენსიის ოდენობა 28 ლარს წარმოადგენდა.¹⁴

¹⁰ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი, http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=93&info_id=715.

¹¹ http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23

¹² სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი, სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით, http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1472&fbclid=IwAR0RGzbEHgwjNpMQeywvKEyaXCdmy6ovNfv1JGJm16gcRYqqN_8pXSrI3GE.

¹³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, 28.12.2005 მდგომარეობით <https://matsne.gov.ge/ka/document/view/27946?publication=0>.

¹⁴ ქართული პენსიის ისტორიული ექსკურსი, Business Media Georgia – BMG, <https://bm.ge/ka/article/rogor-izrdeboda-pensiebi/25728>

დასკვნა

საქართველო, ისწრაფვის ევროკავშირისაკენ და შესაბამისად ვალდებულია, უზრუნველყოს ევროპის ქვეყნებში არსებული სტანდარტების დანერგვა სხვადასხვა მიმართულებით. მნიშვნელოვანია, ქვეყანამ სრულად გაიაზროს საკუთარი პოზიტიური ვალდებულება და აღადგინოს რეპრესირებულთა დარღვეული უფლებები, მათთვის ერთჯერადი კომპენსაციის მიცემის, ქონებრივი უფლებების აღდგენისა და სოციალური შეღავათებისა და დახმარების გაწევის გზით. აღნიშნულ პროცესში, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას განვითარებული ევროპული ქვეყნების, მათ შორის ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვას გამოცდილება.

IDFI თვლის, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათ მემკვიდრეთა სოციალური დაცვის პაკეტი და საყოფაცხოვრებო სუბსიდია არ არის საკმარისი მინიმალური ყოველდღიური ფინანსური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ის არ არის პროპორციული იმ ზიანთან შედარებით, რომელიც რეპრესირებულმა პირებმა და მათმა შთამომავლებმა განიცადეს. ამ მხრივ, შედარებისთვის, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია XIX-XX საუკუნეებში, განსაკუთრებით 1921-1990 წლებში მიღებული ზიანის გამო სახელმწიფოსგან წელიწადში ათობით მილიონი ლარის კომპენსაციას იღებს.¹⁵

პრობლემურია ისიც, რომ 2006 წლიდან გაუქმდა რეპრესირებული პირებისათვის დადგენილი საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათები, რომლებიც მართალია მცირე ოდენობით, თუმცა მაინც უზრუნველყოფდნენ რეპრესირებულ პირთა დახმარებას საყოფაცხოვრებო-კომუნალურ ფინანსურ ვალდებულებებთან გამკლავების პროცესში. ასევე გაუქმდა რეპრესირებული პირებისათვის დადგენილი საცხოვრებელი ფართის ქირის შეღავათი. ნაცვლად ამისა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებისასთ და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრებისთვის განისაზღვრა საყოფაცხოვრებო სუბსიდია 7 ლარის ოდენობით.

დაუშვებელია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათი მემკვიდრეებისთვის კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობის ჩამორთმევა და აღნიშნულის განხორციელების კონკრეტული ვადებით შეზღუდვა (მაგ. 2018 წლის პირველ იანვრამდე). IDFI მიიჩნევს, რომ მსგავსი მიდგომა არღვევს არამართო იმ პირთა უფლებებს, რომლებმაც დათქმულ ვადაზე ამა თუ იმ მიზეზით ვერ მიმართეს სასამართლოს, არამედ ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს იმ მოქალაქეების უფლებებსაც, რომლებმაც ბარიერების გამო ვერ შეძლეს სასამართლოსთვის მიმართვა. ოკუპირებული ტერიტორიების შემოერთების და იქ მცხოვრები მოსახლეობის სამომავლოდ რეინტეგრაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით, აღნიშნული ვადის დაწესება მიუღებელია.

¹⁵ მაგალითად იხილეთ 2020 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, კოდი 45 00: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4734727?publication=0>.

ასევე, დღეის მდგომარეობით არ არის შემუშავებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული - რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესის განმსაზღვრელი კანონი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვიღებთ მდგომარეობას, როდესაც იმ პირებს, რომლებმაც 2018 წლის პირველ იანვრამდე მოახერხეს მიემართათ სასამართლოსთვის რეპრესირებულის სტატუსის მიღების მიზნით, აქვთ კანონით დადგენილი მწირი სოციალური დახმარებისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება. იმ პირებს კი, რომლებმაც მოცემულ ვადამდე ვერ მიმართეს სასამართლოს, ჩამორთმეული აქვთ შესაბამისი ერთჯერადი დახმარების, სოციალური დახმარებისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების შესაძლებლობა.

რეკომენდაციები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, IDFI-ის რეკომენდაციებია:

- განახლდეს 2018 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილი, რეპრესირებულ პირთა ან მათ მემკვიდრეთა უფლება ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიღების მიზნით, შესაბამისი განცხადებით მიმართონ სასამართლოს.
- გაიზარდოს დადგენილი ერთჯერადი დახმარების ოდენობა: 2018 წლის 1 იანვრამდე, აღნიშნული 1.000-დან 2.000 ლარამდე მერყეობდა.
- სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ იქნეს რეპრესირებულ პირთა გათავისუფლება საყოფაცხოვრებო-კომუნალური გადასახადებისგან. ამ მიზნით, თუ კომუნალურ მომსახურებას გასწევს კერძო კომპანია, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ მოახდინოს კომუნალური მომსახურებების სუბსიდირება რეპრესირებულთათვის მომწოდებელ კერძო კომპანიებთან.
- რეპრესირებულებს, რომლებიც არ ფლობენ საცხოვრებელ ფართს, მიეცეთ ყოველთვიური დახმარება ქირის გადასახადის სრული ან ნაწილობრივი დაფარვის მიზნით.
- რეპრესირებულ პირთათვის გათვალისწინებული სოციალური დახმარებისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა უნდა ითვალისწინებდეს რეალურ საარსებო მინიმუმს და იძლეოდეს ბენეფიციართა მიერ ყოველდღიური ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას.
- აუცილებელია კანონით დადგენილი იყოს მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის შეღავათი რეპრესირებულ პირებისათვის.

- მნიშვნელოვანია შემუშავდეს რეაბილიტირებულ პირთა ქონებრივი უფლებების აღდგენის წესის განმსაზღვრელი ცალკე კანონი, შესაბამისი დეტალები კი უნდა განისაზღვროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (მთავრობის დადგენილება), რომელიც დაარეგულირებს კონკრეტულად რეპრესირებულებთან მიმართებით არსებული სოციალური დახმარების, კომუნალური სუბსიდიების, საცხოვრებელი ფართის ქირისა და ერთჯერადი კომპენსაციის საკითხებს. აუცილებელია, აღნიშნული საკითხები დარეგულირებული იყოს დამოუკიდებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, რადგან მოცემულ ვითარებაში აღნიშნული გაბნეულია მთავრობის დადგენილებებს შორის, რომელთა კოდიფიცირებული ვერსიები არ არის ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის, შესაბამისად ძალზედ გართულებულია საკითხის მარეგულირებელი ნორმატიული რეგულირების შესწავლა.